

თამარ ლომიძე
(საქართველო)

აკაკი წერეთლის პოეტიკა: ძირითადი ტენდენციები

სტატიაში „ილია ჭავჭავაძის პოეტიკა: ძირითადი ტენდენციები“ (ლომიძე 2019) ვიმსჯელებთ მხატვრული აზროვნების იმ ზოგადი კანონზომიერებების შესახებ, რომლებიც თავს იჩენს ილია ჭავჭავაძის, როგორც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლის, პოეტიკაში. ჩვენი დასკვნების დასასაბუთებლად სასარგებლო იქნება ამ მიმდინარეობის სხვა წარმომადგენელთა და, განსაკუთრებით, აკაკი წერეთლის პოეტიკის ძირითად ტენდენციებში გარკვევა, სახელდობრ, დადგენა იმისა, კრიტიკული რეალიზმის რა ზოგადი ნიშან-თვისებები იჩენს თავს აკაკის შემოქმედებაში, რა სპეციფიკური ფორმით ვლინდება ისინი და რამდენად ენათესავება ერთმანეთს ილიასა და აკაკის, როგორც ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელთა მხატვრული აზროვნება.

კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ნიშან-თვისებების შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია, ზოგადად, ლიტერატურულ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის კრიტერიუმის პრობლემა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ლიტერატურულ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის ინსტრუმენტად გამოდგება, ჩამოაყალიბა რომან იაკობსონმა. კერძოდ, იაკობსონის აზრით, „არაერთხელ აღნიშნულა, რომ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სკოლებში გაბატონებული იყო მეტაფორა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გავაცნობიერეთ ის ფაქტი, რომ სწორედ მეტონიმიის ბატონობა უდევს საფუძვლად ეგრეთ წოდებულ „რეალისტურ“ მიმართულებას, ეს უკანასკნელი კი შუალედური სტადიაა რომანტიზმის დაცემასა და სიმბოლიზმის ჩასახვას შორის და უპირისპირდება ორივე მათგანს“ (Яковсон 1990:127). ამგვარად, იაკობსონი განასხვავებს ლიტერატურულ მიმდინარეობებს იმისდა მიხედვით, თუ აზროვნების რომელი მოდული იჩენს თავს თითოეულ მათგანში – მეტაფორა (სინთეზი) თუ მეტონიმია (ანალიზი).

იაკობსონის ამ იდეამ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება ფილოლოგიაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნაშრომს – ასეთია, მაგალითად, კონსტანცის უნივერსიტეტის პროფესორის, ი.პ. სმიროვის „მეგაისტორია“ (Смирнов 2000), რომელშიც მსოფლიო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე უაღრესად საყურადღებო, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დასკვნებია გამოტანილი. ლიტერატურათმცოდნეები, ჩვეულებრივ იფარგლებიან მხოლოდ შეფასებებისა ან კრიტიკული შენიშვნების გამოთქმით იაკობსონისე-

ული დებულებების მიმართ და, როგორც წესი, არ ცდილობენ მათ გამოყენებას ან განვითარებას.

ჩვენ მიერ უკვე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ, იაკობსონის შეხედულების საპირისპიროდ, ქართველ რომანტიკოს პოეტთა მხატვრული აზროვნება – მეტონიმიური, ანალიტიკური ხასიათისაა (იხ. ლომიძე 2014). დაისმის კითხვა: აზროვნებისა და აღქმის რომელი – მეტაფორული თუ მეტონიმიური – პრინციპი იჩენს თავს რეალიზმში და, კერძოდ, ეგრეთ წოდებული კრიტიკული რეალიზმის ქართველ წამომადგენელთა შემოქმედებაში? ბუნებრივია, რომ პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძის პოეტიკის ძირითადი ნიშან-თვისებების გამოკვლევის შემდეგ, გასარკვევია, როგორია ამ მხრივ აკაკი წერეთლის შემოქმედების სპეციფიკა. კვლევისას გავითვალისწინეთ ი. სმირნოვის „მეგაისტორიაში“ ჩამოყალიბებული დებულებები.

თუ რეალისტური აზროვნების ძირითად პრინციპად ვაღიარებთ მეტაფორას – მეტაფორულ (ანუ სინთეზის) პრინციპს, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე თეორიის (Вержницкая 1990) მიხედვით, მეტაფორაში ყოველთვის მონაწილეობს ფარული უარყოფა. მაგალითად, „შუშანიკის წამებიდან“ მოხმობილი მეტაფორა: „მოვიდა მგელი იგი“ ზემოდასახელებული თეორიის თანახმად, ამგვარად განიმარტება: „შეიძლება ითქვას, რომ ეს ვარსკენი კი არ იყო, არამედ – მგელი“, ხოლო როდესაც, მაგალითად, პოეტი მიმართავს სატრფოს „ვარდო კოკობო“, ამ მეტაფორის ექსპლიკაცია იქნება: „შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო, არა ქალი, არამედ – კოკობი ვარდი“ და ა.შ. (სიტყვები „შეიძლება ითქვას“ მეტაფორის ექსპლიკაციისას იმიტომ გამოიყენება, რომ სინამდვილეში ვარსკენი და მგელი, ისევე, როგორც ქალი და ვარდი, განსხვავებული ობიექტებია – მხოლოდ ადამიანი მიაწერს მათ მსგავსებას და ახდენს ამ მსგავსების ენობრივ მანიფესტაციას).

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ რომანტიზმისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის რეალისტურ ლიტერატურაში უპირატეს გამოხატულებას ჰპოვებდა არა მეტონიმი, არამედ – მეტაფორა, ე.ი. არა ანალიზი, არამედ – სინთეზი. ილია ჭავჭავაძის პოეტიკის განხილვამ დაადასტურა ეს ვარაუდი.

ის, რაც აერთიანებს აკაკისა და ილიას, როგორც რეალისტ მწერლებს, არის აზროვნებისა და ასახვის და, ზოგადად, მსოფლადქმის მეტაფორული პრინციპი. ამის გამოხატულებაა თუნდაც აკაკის აქტიური მონაწილეობა (ილიასთან ერთად) მამათა და შვილთა ბრძოლაში. გრ. კიკნაძის თქმით, „არც ერთი ისეთი არსებითი საკითხი არ ყოფილა, რომლის გამოც ადრინდელ თაობას პრინციპულად უნდა დაპირისპირებოდა ახალგაზრდობა. იყო დავა, იყო მწვავე განხეთქილება, მაგრამ ყველაფერი ეს მწვავე ნიადაგზე არ იდგა. ახალგაზრდობის გამოსვლა იყო გაბედული, არაიშვიათად ზედმეტად მკაცრი გამოსვლა არსებითად იმავე პოზიციიდან, რომელზედაც ძველი თაობის ლიტერატორები შეგნებულად თუ შეუგნებლად იდგნენ. პოლემიკის

ინიციატორები, მისი წამომწყებნი ახალგაზრდები, „შვილები“ იყვნენ“ (ქრესტომათიული კრიტიკა 1957: 157).

საქმეც ისაა, რომ ახალგაზრდა აკაკის, ისევე, როგორც ილიას აზროვნების დამახასიათებელია ის, რომ სამყარო მას გარდუვალად წარმოუდგებოდა, როგორც განსხვავებული პლანების, განსხვავებული მსოფლალქმების ანტაგონისტური ურთიერთკავშირი. არსობრივი დაპირისპირების არარსებობის მიუხედავად, ილიამ და აკაკიმ ხელი შეუწყვეს იმას, რომ წარმოიქმნა ერთმანეთისადმი ფორმალურად, მაგრამ არა არსებითად დაპირისპირებული ორი ბანაკი, შეიქმნა ორი „თაობა“, და შეიქმნა დაპირისპირება მათ შორის, დაპირისპირება, რომელიც რეალურად არ არსებობდა. ის იმთავითვე არსებობდა ახალგაზრდა თაობის ცნობიერებაში, რომელიც განაპირობებდა რეალობისა და არტეფაქტების, როგორც დაპირისპირებათა თანაარსებობის აღქმას. ამგვარად, აქ უდავოდ იჩენს თავს აზროვნების მეტაფორული პრინციპი.

ისიც, რომ აკაკისა და ილიას ნაწარმოებებში შერწყმულია სხვადასხვაგვარი ფუნქციები – ერთი მხრივ, მხატვრული, მეორე მხრივ კი – დიდაქტიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და ა.შ. – რა თქმა უნდა, აგრეთვე მეტაფორული პრინციპის გამოხატულებაა.

აკაკის საპროგრამო ლექსში „პოეტი“ აქცენტირებულია მედიაციის (შუამავლობის) მეტაფორული მოტივი. პოეტი ამ ლექსში „გარემოების საყვირადაა“ გამოცხადებული, ე. ი. აქ საგანგებოდაა აღნიშნული მისი, როგორც მიუკერძოებელი შემოქმედის (და არა როგორც პოეტი-მოქალაქის) ფუნქცია. მედიაციის მოტივი ამ შემთხვევაშიც (ისევე, როგორც ილიასთან) აშკარად იკვეთება – პოეტი მედიატორია „გარემოებასა“ (ცხოვრებასა) და ხელოვნებას შორის. ცხოვრება მის შემოქმედებაში აისახება „სარკედ ქცეული გულით“, რომელიც ბუნების „ნათავხედია“, ანუ ბუნების ქმნილებაა. ამგვარად, ილიას ნაწარმოებში გაცხადებულ მოქალაქეობრივ და რაციონალისტურ პოზიციას, რომელიც სრულიად გამორიცხავს ყოველგვარ „უგნურებას“, უპირისპირდება აკაკის თვალსაზრისი პოეტის დანიშნულების შესახებ. მაგრამ ის, რაც აერთიანებს ორივე პოეტს, არის მედიაციის მოტივი, რაც ორივე შემთხვევაში იჩენს თავს.

შრომითი პროცესების ესთეტიზაცია, რაც რეალიზმისთვისაა დამახასიათებელი და ემყარება შრომის, როგორც ბუნებისა და კულტურის განმაშუალებელი, მედიაციური (მეტაფორული) საქმიანობის გააზრებას (იხ. ამის შესახებ Смирнов 2000: 52), რაც, როგორც უკვე ვთქვით, განხორციელდა აკაკის პოეზიაში (ილიასთან – როგორც პოეტურ, ასევე პროზაულ ნაწარმოებებში). ასეთებია „მუშური“ („...ყანაო, მუშის სამოთხევ“), „...ღმერთო, ნვიმა მოიყვანე“, „მუშური“ („სიმინდსა თოხნა დავუნყოთ“), „ხარაბუზა და ფუტკარი“, „მუშის ნატვრა“, „გაზაფხული“ („გამხიარულდი, ბუხარო“), „შედარება“, „ბოდვა“ და სხვ., რომლებშიც ხორცშესხმულია შრომით გამოწვეული სიხარულის მოტივი, ეს კი რეალიზმისთვისაა დამახასიათებელი.

მედიაციის მოტივი, საზოგადოდ, ხშირად გვხვდება აკაკი წერეთლის პოეზიაში („ლამურა“, „პოეტი“, „ავადმყოფი“, „ჩანგური“). ხშირად გვხვდება, აგრეთვე, ფუტკრის სახე, როგორც მედიატორისა ადამიანსა და ღმერთს შორის:

თაფლს ცოცხლებისთვის ვამზადებ,
მკვდრებისთვის წმინდა სანთელსო,
და ვაკავშირებ ორ სოფელს:
სიტკბობას და ნათელსო!

ასეთივეა ცისარტყელის სახე „თორნიკე ერისთავში“. ცისარტყელა ცაზე გამოიხატება, მაგრამ მიგვანიშნებს დედამიწაზე მოსალოდნელი მოვლენების შესახებ. ასე რომ, ცისარტყელა მედიატორია ცასა (ღმერთსა) და ადამიანებს შორის¹. თვით „თორნიკე ერისთავი“, როგორც მხატვრული ტექსტი, აგრეთვე მედიატორია წარსულსა და მომავალს შორის. ის აცოცხლებს წარსულს და, ამასთანავე, მიუთითებს ერის ბედნიერი მომავლის შესახებ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „თორნიკე ერისთავში“ მხოლოდ საქართველოს წარსული კი არაა ასახული, ამ წარსულში უკვე მონაწილეობს აწმყო. ცხადია, ესეც მეტაფორული აზროვნებითაა განპირობებული.

მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“ გამოგონილი გმირი გლახა ბაქრაძე გარემოცულია ისტორიული პერსონაჟებით. ასე რომ, მედიაციას ისტორიასა და მკითხველს შორის აქ განახორციელებს სწორედ ეს პერსონაჟი. ამ მოთხრობაში გვხვდებიან ისეთი მეტაფორული ურთიერთშემნაცვლებელი წყვილები, როგორებიცაა პირიმზისა და პირიმთვარისა (აბდუშაჰილი გამოიგლოვებს ერთ-ერთი მათგანს, როგორც თავის სატრფოს, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ მისი ნამდვილი სატრფო ცოცხალია), მელანო და წერეთლის ქალი (ბაში-აჩუკის დროებითი და ქვეშაირი სატრფოები), აბდუშაჰილი-მაჰმადიანი და აბდუშაჰილი-ქრისტიანი.

აკაკის მისწრაფება მიჯნის ნაშლისა წარსულსა და აწმყოს შორის აისახა ისეთი (მედიაციური) ნაწარმოებების შექმნაში, რომლებშიც წარსულის სურათებში აწმყოც იგულისხმება. („თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“).

„თორნიკე ერისთავშიც“ ნიშანდობლივია ის, რომ მთავარი პერსონაჟი – თორნიკე-ბერი ენაცვლება თორნიკე-მხედართმთავარს, და – პირიქით. საერთოდ, ამ პოემისთვის დამახასიათებელია კონტრასტული სახეებისა და მოტივების თანაარსებობა. გავიხსენოთ მისი პასაჟი „ვითა ეთერი მზეთუნახავი“. აქ დაპირისპირებულ საწყისთა წყვილს წარმოქმნის, ერთი

¹ იმას, რომ „თორნიკე ერისთავში“ ცისარტყელა რეალისტური სიმბოლოა, აღნიშნავდა (ოლონდ განსხვავებულ კონტექსტში) გ. ასათიანი: „ნიშანი“, რომელსაც ცისარტყელა „გვაძლევს, მოკლებულია ღვთიური გამოცხადების იდუმალ აზრს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „იდუმალება“... აქ მხოლოდ მოჩვენებითი იერია, მხოლოდ სამოსელია სრულიად ნათელი („მინიერი“) იდეისა... სიმბოლოს რეალისტურობა გამოწვეული მისი რეალური ფუნქციით“ (ასათიანი 1974: 309)

მხრივ, ღვთიური ჰარმონიით აღსავსე სამყარო და, მეორე მხრივ, ადამიანთა სამყარო, ანუ ბუნებისმიერი და ადამიანური, რომლებიც ერთდროულად არსებობენ:

სურნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი
ბანსა აძლევდნენ ღვთიურს ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთაძალი.
...უცხად რაღაცამ დაიგრილა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოაჩინა ბოროტი ძალა:
შეიქნა ბუკის, საყვირის ცემა,
ატყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი...
აჰა, გათენდა და ემზადება
სისხლის სათხევად ორივე ჯარი!

აკაკი მხატვრული აზროვნების ეს თვისება გურამ ასათიანმა შეამჩნია და აღნიშნა: „განსაკუთრებით საყურადღებოა არა მხოლოდ ეს, პოეტის მიერ აშკარად აქცენტირებული შეუთავსებლობა – „ბუნებრივისა“ და „ადამიანურის“ ანტიპოდური ურთიერთმიმართება – არამედ მათი შერიგების ცდაც“ (ასათიანი 1974: 311). მკვლევარი საუბრობს „შეურიგებელ სანყისთა შეთავსების ცდის“, „შურისგებისა და შემწყნარებლობის ურთიერთგამომრიცხველ სანყისთა ჭიდილის“ შესახებ და მიიჩნევს, რომ ეს არის სწორედ აკაკის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშან-თვისება, სინამდვილეში კი ეს (მეტაფორის) პრინციპი ნიშანდობლივია ილიასთვისაც და, საერთოდ, მეცხრამეტე საუკუნის რეალიზმისთვის.

მამასადამე, აკაკის, როგორც რეალისტი მწერლის, ამოცანაა განსხვავებულ ობიექტთა საერთო ნიშან-თვისებების პოვნა და ამ ობიექტთა ურთიერთმიმართებაზე დაკვირვება. ამიტომ სიუჟეტი მასთან ხშირად ემყარება მსგავსებას გმირებს შორის (პირიმზისას და პირიმთვარისას ურთიერთშენაცვლებადობა, მელანოსა და წერეთლის ქალის ურთიერთშენაცვლებადობა, ბათუსა და საფარ-ბეგის ურთიერთ-შენაცვლებადობა) და, აგრეთვე, იმას, რომ ერთი პერსონაჟი თხრობის გაშლისას იკავებს იმ ადგილს, რომელიც მანამდე ეკავა სხვა პერსონაჟს (წერეთლის ქალი – მელანო). ყოველივე ეს მეტაფორული პრინციპის გამოვლინებაა.

აკაკისთვის ბუნებრივია, ორგანულია ამგვარი გაორება და არა მარტო გაორება, არამედ – ურთიერთშენაცვლებადი კატეგორიების, ურთიერთშენაცვლებადი სახეების ერთობლივი ხორცშესხმა ტექსტში. არანაკლებ ორგანულია მისთვის, როგორც პიროვნებისთვის, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწისთვის – ორი სახე, რომლითაც ის ევლინებოდა ქართულ საზოგადოებრიობას. „როგორც „ილიადას“ ლეგენდარული ავტორი ძველ ელინთა წარმიდგენაში, ან ვიქტორ ჰიუგო თანამედროვე ფრანგების შეგნებაში, აკაკი წერეთელიც ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩენილა სიმღერებ-

ში გათეთრებულ წმინდა მოხუცად. ეს თითქმის სიმბოლოდ ქცეული გარეგნული ხატი მხცოვანი მგოსნისა, ჩვეულებრივ, ჩრდილავს ჩვენს წარმოდგენაში ბრძოლის წყურვილით ანთებულ, თვალეკაშკაშა ახალგაზრდა აკაკის სახეს, რომელიც თავის დროზე სხვა სამოციანელებთან ერთად ჭაბუკური დაუნდობლობით უტევედა „მამებს, მხიარულად, ენაღვარძლიანად დასცინოდა მათ მეტისმეტად გაბერილ ამპარტავნებას და დახავსებულ კონსერვატიზმს...“ (ასათიანი 1974: 292).

გ. ასათიანის აზრით, აკაკის ამგვარი გაორების ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მის „ლირიკულ ბუნებას სწორედ მხცოვანი მგოსნის სამოსელი შეეფერებოდა. მისი ხმატკბილი გალობა სწორედ ჭალარით მოსილი, სიმღერებში თმაგათეთრებული პოეტის გარეგნობას მოითხოვდა. ამიტომაც არის, რომ ქართველი ერის შეგნებაში აკაკი წერეთელი სამუდამოდ დარჩენილია მოხუცი ბულბულის სახით“ (ასათიანი 1974: 330).

პოემაში „გამზრდელი“ აკაკის იმთავითვე შემოაქვს ბუნებისა და კულტურის დაპირისპირების თემა:

... ფაცხა უბრალობით
 მომხიბლავად ლამაზია
 და იმასთან ყველა ტყუის,
 რაც კი ციხე-დარბაზია.

ანუ, კულტურასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება ბუნებას.

„კულტურის“ წარმომადგენლებს – საფარ-ბეგს და ზია-ხანუმს ახასიათებს ავხორცობა, ვნებებისადმი მორჩილება და სხვა უარყოფითი თვისებები.

ბათუ, როგორც ბუნების შვილი, რომლისთვისაც ღირებულება მხოლოდ ჭეშმარიტი, მარადიული ფასეულობები, თავისუფალია ამგვარი გრძნობებისგან. საფარ-ბეგსა და ბათუს მეტაფორულ, ურთიერთშემნაცვლებელ წყვილად აქცევს ის, რომ ორივენი ჰაჯი-უსუბის გაზრდილნი არიან, ორივეს ერთნაირი აღზრდა აქვს მიღებული. კულტურის უძღურებას ბუნებასთან შედარებით ადასტურებს ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა. ამგვარად, ამ პოემაში მეტაფორულ წყვილს წარმოქმნის რეალიზმის ტრადიციული ოპოზიცია: ბუნება – კულტურა, ისიც ამკარაა, რომ ეს მეტაფორა წარმოიქმნება სელექციის, შერჩევის საფუძველზე, ოღონდ სელექცია აქ შემფასებლურია: „არა კულტურა, არამედ – ბუნება“.

ჰაჯი-უსუბის, როგორც აღმზრდელის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი – ბუნების შვილი – აზიაროს კულტურას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჰაჯი-უსუბი მედიატორია ბუნებასა და კულტურას შორის. მისი თვითმკვლელობა ბუნების უპირატესობის აღიარებაა კულტურის წინაშე: „მხოლოდ წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“¹

1 საინტერესოა, რომ თ. დოიაშვილის მითითებით, „გამზრდელში“ განმანათლებლური პარადიგმის რღვევაა ასახული: „მარტივი“ და „რთული“ ცხოვრების, გონიერი და დებიითი გმირისა და ვნებასაყოფილი უარყოფითი პერსონაჟის დაპირისპირება, რომელიც „გამზრდელში“ აისახა, განმანათლებლური რომანის მთავარი კოლიზია. მასში კონ-

სხვაგვარ თვალსაზრისს გამოთქვამდა აკაკი ბაქრაძე: „როცა ჰაჯი-უსუბმა ნაამბობი მოისმინა, მან ნათლად დაინახა, რომ დაირღვა მოყვასის მოყვასისადმი სიყვარულის ჰარმონია. იგი ისევ რომ აღდგეს, აუცილებელია სასჯელი, რაც დაუფინყარ გაკვეთილად დარჩება არა მარტო საფარ-ბეგს, არამედ ყოველ ადამიანს, ამიტომ სასჯელი სამაგიეროს მიზლვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრიობის დემონსტრაცია. ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ერთი დანაშაულის შეცვლა მეორეთი, ბოროტების მოკვეთა ბოროტებით. სასჯელი მაშინ გახდებოდა ზნეობრივი აქტი, როცა იგი გამოიხატებოდა არა ახალი დანაშაულით, არა ძალდატანებით, არა ბოროტებით, არამედ იმის მაგალითის ჩვენებით, როგორი უნდა იყოს პატიოსანი ადამიანის დამოკიდებულება დანაშაულისადმი... საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგრძნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის“ (ქრესტომათიული კრიტიკა 2004: 231).

მოყვანილ თვალსაზრისში ვლინდება, საზოგადოდ, სპეციფიკური დამოკიდებულება რეალისტური ლიტერატურისადმი. რომანტიკული ნაწარმოებების პერსონაჟთა მოქმედების განსჯა, როგორც რეალური ადამიანების ქცევისა, იშვიათია, მაგრამ, როგორც წესი, რეალისტურ ნაწარმოებთა მიმართ სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ქარბობს, ანუ განიხილება ნაწარმოებთა იდეურ-თემატური ასპექტი და ჩრდილში რჩება ნაწარმოებთა მხატვრული კონცეფცია, საერთოდ, მხატვრული მხარე.

მეორე მხრივ, თვით რეალისტური, ანუ ობიექტურ სინამდვილესთან თითქოსდა მაქსიმალურად მიახლოებული ლიტერატურა უბიძგებს კრიტიკოსებს, განიხილონ მხატვრული ნაწარმოებები, როგორც ობიექტური სინამდვილის გაგრძელება. ყოველ შემთხვევაში, აკაკის „გამზრდელის“ იდეური ასპექტი, გაცილებით მეტად იზიდავდა და იზიდავს მკვლევართა ყურადღებას, ვიდრე – პოემის მხატვრული თავისებურებები. რეალისტური ხელოვნების სპეციფიკა ხომ სწორედ რომ „ცხოვრებასთან სიახლოვე“, „დამაჯერებლობა“ და პუბლიცისტურობაა. ამიტომ, რომ „გამზრდელის“ პერსონაჟები განიხილებიან, როგორც რეალურად არსებული ადამიანები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ლიტერატურის ყველაზე უფრო საჭირობოროტო და აქტუალური საკითხი – ზნეობრივი საკითხებია. ამგვარი ასახვა სწორედ რეალისტური ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

დენსირებულია განმანათლებლობის მრწამსი, რომ სიკეთე და ზნეობრიობა გონების ნაყოფია, ხოლო გრძნობიერება – ეგოისტურ ლტოლვათა წყარო“. მაგრამ „საფარ-ბეგის კაზუსი ეჭვქვეშ აყენებს აღზრდის ყოვლისშემძლეობის განმანათლებლურ იდეას, პერსონაჟის საქციელის შეფასება კი ავტორის მიერ ოდენ ზნეობის პოზიციიდან ხდება“ (დოიაშვილი 2017:13, 15).

ამგვარად, აკაკი წერეთლის პოეტიკის ზოგადი ტენდენციების ანალიზი ადასტურებს, რომ რეალისტურ ლიტერატურაში, რომანტიკული მწერლობისგან განსხვავებით, პრევალირებს სინთეზის, (მეტაფორის) პრინციპი. ეს დასკვნა საშუალებას იძლევა, ახლებურად გავიაზროთ როგორც თვით აკაკის, ასევე მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის სპეციფიკა.

დამონებანი:

- Asatiani G. *Vepkhist'q'aosnidan Bakht'rionamde*. Tbilisi: gamomtsemloba „merani“, 1974 (ასათიანი გ. ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 1974)
- Doiashvili T. “Ak'ak'is „Gamzrdeli“ da Ganmanatlebluri P'aradigma”. *Sjani*. 18. Tbilisi: TSU gamomtsemloba, 2017 (დოიაშვილი თ. აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლური პარადიგმა“. *სჯანი*. 18. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017)
- Krest'omatiuli K'rit'ik'a (XIX Sauk'une)*, t'. 2. Tbilisi: gamomtsemloba „ts'q'arostvali“, 2004 (*ქრესტომათიული კრიტიკა (XIX საუკუნე)*), ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2004).
- Lomidze T. *Kartuli Romant'izmis P'oet'ik'a*. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universitetis gamomtsemloba, 2014 (ლომიძე თ. ქართული რომანტიზმის პოეტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014).
- Lomidze T. “Ilia Ch'avch'avadzis P'oet'ik'a: Dzirritadi T'endentsiebi”. *Sjani*. 20/I. Tbilisi: TSU gamomtsemloba, 2019 (ლომიძე თ. „ილია ჭავჭავაძის პოეტიკა: ძირითადი ტენდენციები“. *სჯანი*, 20. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2019).
- Smirnov I.P. *Megaistoriya*. Moskva: izdatel'stvo “agraf”, 2000 (Смирнов И.П. Мегистория. Москва: издательство “аграф”, 2000).
- Vezhbitskaya A. *Sravnienie – Gradatsiya – Metafora*. Teoriya Metaforu. Moskva: izdatel'stvo “progress”, 1990 (Вежбицкая А. “Сравнение – градация – метафора”. *Теория метафоры*. Москва: издательство “прогресс”, 1990).
- Yakobson R.O. *Dva Aspekta Yazyka i Dva Tipa Afaticheskikh Narusheniy*. Teoriya Metaforu. Moskva: izdatel'stvo “progress”, 1990 (Якобсон Р.О. “Два аспекта языка и два типа афатических нарушений”. *Теория метафоры*. Москва: издательство “прогресс”. 1990).

Tamar Lomidze
(Georgia)

Poetics of Akaki Tsereteli: Main Trends

Summary

Key words: Georgian literature, realism, romanticism.

In a previous article we examined the general regularities of the poetics of Ilya Chavchavadze as a representative of critical realism. In order to substantiate our conclusions, it would be useful to identify the main trends in the work of other representatives of this literary direction, and in particular the poetics of Akaki Tsereteli, a prominent representative of 19th-century Georgian realistic literature; identify the common features of critical realism in his work, as well as the specific forms in which they are embodied.

When discussing the main features of critical realism (realism of the 19th century), one should consider the problem of the criterion for the classification of literary trends.

Roman Jakobson formulated one of the most important principles used as a tool for classifying literary trends. According to Jakobson, either metaphor (synthesis principle) or metonymy (analysis) dominates in various literary directions.

This idea of Jakobson was not developed extensively in philology, with the exception of several works, such as “Megahistory” by professor of the University of Constanz, I.P. Smirnov (Smirnov, 2000), in which the most significant and fundamental conclusions are made on the basis of an analysis of world literature.

Our study of Georgian romantic literature revealed that, contrary to Jakobson’s opinion, the artistic thinking of Georgian *romantic* poets is metonymic, analytical. The question arises: which – metaphorical or metonymic – principle of thinking and perception is revealed in *realism* and, in particular, in the work of Georgian representatives of the so-called critical realism? Naturally, having studied the main features of the poetics of Ilya Chavchavadze, it is necessary to analyze the work of Akaki Tsereteli in this regard. In the study, we took into account the postulates of I.P. Smirnov, expressed by him in the book “Megahistory”.

It can be assumed that, in contrast to romanticism, in realistic 19th-century literature not metonymy dominates, but a metaphor, i.e. not analysis, but synthesis. An analysis of the poetics of Ilya Chavchavadze confirmed this assumption.

What unites Akaki Tsereteli and Ilya Chavchavadze as realist writers is a metaphorical principle of thinking and worldview in general. This is reflected even in the active participation of Akaki Tsereteli (along with Ilya Chavchavadze) in the so-called the struggle of the “fathers” and “sons”.

The fact is that the thinking of young Akaki Tsereteli, as well as the thinking of Ilya Chavchavadze, is such that the world will inevitably appear to him as an antagonistic

relationship of different planes, different worldviews. Despite the absence of a significant confrontation, Ilya and Akaki contributed to the formation of two formally, but not fundamentally opposing camps, two “generations”, and a confrontation between them, a confrontation that did not actually exist. It existed from the very beginning in the minds of the young generation, which led to the perception of reality and artifacts as a coexistence of contradictions. Thus, the metaphorical principle of thinking undoubtedly takes place here.

It is interesting that in the works of Akaki Tsereteli and Ilya Chavchavadze various functions are combined – on the one hand, artistic, and on the other – didactic, political, philosophical, etc. certainly this is also an expression of a metaphorical (synthetic) principle.

In the program poem of Akaki Tsereteli “Poet” the motive of mediation is emphasized. In this work (as well as the poem of the same name by Ilya Chavchavadze), the poet is a mediator between life and art.

In the work of Akaki Tsereteli there is also an aestheticization of labor processes, which is characteristic of realism and is based on an understanding of labor as the middle link between nature and culture.

The rainbow image in the poem “Tornike Eristavi” has a similar function. A rainbow is observed in the sky, but indicates expected events on Earth. Thus, the rainbow is a mediating link between heaven (God) and man. The historical poem „Tornike Eristavi“ itself is a mediator between the past and the future. It describes the past and at the same time indicates a happy future for the nation. Obviously, this is also associated with metaphorical thinking.

The main invented character of the story “Bashi-Achuki”, Glakh Bakradze, is surrounded by historical characters. Thus, this character is a mediator between the story and the reader. This story features metaphorical, interchangeable pair characters. Akaki Tsereteli’s desire to erase the boundaries between the past and the present is reflected in the creation of such works in which the present is implied in the images of the past (“Tornike Eristavi”, “Bashi-Achuki”). The task of Akaki Tsereteli as a realist writer is to find common features of various objects and observe the interconnections of these objects.

In the poem “Educator” Akaki Tsereteli from the very beginning introduces the theme of the confrontation between nature and culture.

Representatives of the culture – Safar-run and Zia-Khanum – are subject to carnal passions and are characterized by other negative qualities.

Batu, as a child of nature, for whom only true, eternal values are valuable, is free from such feelings. The metaphorical, interchangeable essence of the paired characters Sapar-bag and Batu is that they are both brought up by the wise old man Haji-Sub, both received the same education. The powerlessness of culture compared with nature is confirmed by the suicide of Haji-Sub.

When discussing this poem, Georgian critical literature focused on the ideological and thematic aspect of the work, and the artistic concept, as a whole, the artistic side, remained in the shadows.

On the other hand, realistic literature itself, which is as close as possible to objective reality, forces critics to consider works of art as a continuation of this objective reality. In any case, the ideological aspect of the “Educator” Akaki Tsereteli was much more interested in critics than the artistic features of the poem. Indeed, realistic art is characterized by “proximity to life”, “persuasiveness” and publicism. Therefore, the characters of the “Educator” are considered as real people, and it seems that the most necessary and urgent problem of literature is moral problems. A similar trend is characteristic of realistic literature.

Thus, an analysis of the general trends in the work of the prominent representative of 19th-century Georgian realistic literature, Akaki Tsereteli, confirms that in realistic literature, in contrast to romantic literature, the principle of synthesis and the principle of metaphor prevail. This conclusion allows us to rethink the work of Akaki Tsereteli, and the specifics of realistic literature of the 19th century, in general.